



ბრძანება N135

„26“ 06 2017 წელი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლის შეფასების შედეგების, მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადებების, აგრეთვე მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების ელექტრონულ სისტემაში განთავსების ვადის განსაზღვრის შესახებ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 17 მაისის N99 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 55-ე, 56-ე და 63-ე მუხლების, „მასწავლებლის საქმიანობის დანყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნების, მისი დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის №714 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №163/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსის 2017 წლის 26 ივნისის N742299 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 17 მაისის N99 ბრძანებაში და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლის შეფასების შედეგების, მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადებების, აგრეთვე მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების ელექტრონულ სისტემაში განთავსების ვადად განისაზღვროს 2017 წლის 01 ივლისიდან 23 ივლისის ჩათვლით პერიოდი.
2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოცხადება ცენტრის ვებგვერდზე - tpdc.gov.ge განთავსებისა და ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსების გზით.
3. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6. 0131)

დავით ხვედელიძე

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი